საქართველოს პარლამენტი

საქართველოს ეროვნული პლატფორმა
აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

მემორანდუმი

საქართველოს პარლამენტსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის თანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი **2023 წლის 20 ოქტომბერი**

საქართველოს პარლამენტი და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა (შემდგომში „საქართველოს ეროვნული პლატფორმა“)

ისწრაფვიან რა, გააძლიერონ ურთიერთთანამშრომლობა ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას (მათ შორის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას) შორის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მიზნების ხელშეწყობისთვის;

აღიარებენ რა, სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან როლს ერთი მხრივ, საქართველოსა, და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში „ასოცირების შესახებ შეთანხმება“) განხორციელებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ დიალოგსა და რეფორმებში;

მნიშვნელოვნად მიიჩნევენ რა, ევროკავშირის მეათე რეკომენდაციას, რომელიც გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფას გულისხმობს;

იზიარებენ რა, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მნიშვნელობას და ამ პროცესის ხელშეწყობისთვის საქართველოს პარლამენტსა და საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის თანამშრომლობის ინსტიტუციური მექანიზმების განვითარების საჭიროებას;

ისწრაფვიან რა, უზრუნველყონ ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების გამჭვირვალობა;

აცნობიერებენ რა, ევროპული ფასეულობების პოპულარიზაციისა და საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების საჭიროებას,

თანხმდებიან შემდეგზე:

I. საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს:

1. საპარლამენტო კომიტეტებთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოებში და საპარლამენტო კომიტეტების მიერ ცალკეულ საკითხებზე რეგლამენტის შესაბამისად შექმნილ სამუშაო ჯგუფებში საქართველოს ეროვნული პლატფორმის მონაწილეობას;

2. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის სხდომამდე საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის მიერ პლატფორმის წარმომადგენლებთან მოსამზადებელი შეხვედრის გამართვას;

3. საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიერ დასახელებული საპარლამენტო მდივნისთვის ყოველკვირეულად, პარლამენტის ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცესის დაწყებისთანავე, პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტების ელექტრონული ფორმით მიწოდებას;

4. საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიერ დასახელებული საპარლამენტო მდივნისთვის მემორანდუმის მოქმედების პერიოდით, პარლამენტის სასახლეში შესასვლელი საშვის გაცემა;

5. საკონსულტაციო საბჭოებში, სამუშაო ჯგუფებში და პარლამენტის სხვა სახის სამუშაოებში პარლამენტის წარმომადგენელთა მიერ, საქართველოს ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში, პარლამენტის ეთიკის კოდექსთან შესაბამისობას.

II. პლატფორმა უზრუნველყოფს:

1. საქართველოს პარლამენტთან კომუნიკაციისთვის საპარლამენტო მდივნის დასახელებას.

2. საკონსულტაციო საბჭოებში, სამუშაო ჯგუფებში და პარლამენტის სხვა სახის სამუშაოებში ორგანიზაციების წარმომადგენლების დასახელებას და ჩართულობას.

3. საკონსულტაციო საბჭოებში, სამუშაო ჯგუფებში და პარლამენტის სხვა სახის სამუშაოებში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ, საქართველოს პარალამენტის წევრებთან და აპარატის თანამშრომლებთან ურთიერთობაში, საქართველოს ეროვნული პლატფორმის ეთიკის კოდექსთან შესაბამისობას.

III. მხარეები ასევე თანხმდებიან შემდეგზე:

1. სულ მცირე, კვარტალში ერთხელ, თანამშრომლობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად გაიმართება შეხვედრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და საქართველოს ეროვნული პლატფორმის საკოორდინაციო საბჭოს წევრებს შორის.

2. სულ მცირე, წელიწადში ერთხელ, საქართველოს ეროვნული პლატფორმა და საქართველოს პარლამენტი გამართავენ ერთობლივ კონფერენციას მხარეების მიერ ერთობლივად განსაზღვრულ ევროპასთან ინტეგრაციისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე.

3. მხარეთა შეთანხმებით ერთობლივად მონაწილეობენ მრავალმხრივ სექტორალურ ფორმატებში ევროინტეგრაციის საკითხების განხილვისას.

4. საქართველოს პარლამენტი და საქართველოს ეროვნული პლატფორმა უზრუნველყოფენ სამუშაო ფორმატებში ყველა მონაწილის თანასწორ, ინკლუზიურ და ეფექტიან ჩართულობას.

IV. მემორანდუმის მოქმედების ვადა

1. მემორანდუმი ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მე-10 მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

2. მემორანდუმის შეწყვეტა ხდება, ერთი მხარის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე მეორე მხარესთან.

3. მემორანდუმი ფორმდება ორ ეგზემპლარად. ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

მხარეთა ხელმოწერები:

შალვა პაპუაშვილი	**ნინო ჩხობაძე**
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე	საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე

№=14
20.10.2023